

შინაური საქმეები

№ 32.

კვირა, ნოემბერი 14, 1910 წ.

ცალკე ნომერი ღირს 5 კაპიკათ.

აღრესი: ძუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

ყოველკვირეული გაზეთი.

შინაარსი: 1, სამრევლო სკოლები სახელმწიფო სათათბიროში—ხელისა. 2, საჭიროა თუ არა კაცისათვის რელიგია?—მღ იოან. ლუკიანოვისა. 3, ვინ არის დანაშაული?—რედ-სა. 4, წალმა-უკულმა—ქ. წუთისოფლელისა. 5, სინამდვილე სახარებისა. 6, კვირიდან კვირობამდე. 7, მეგრელების სამღვდლოების საყურადღებოთ—კეთილის მსურველისა. 8, წერილი ხობილამ—დამსწრესი.

მომავალ 1911 წლიდან. სარწმუნოებრივ-ზნეობრივ-საზოგადოებრივი გაზ.

„შინაური საქმეები“

გამოვა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, გარდა კვირიკობისთვისა და მარიაშობისთვისა, როცა გაზეთი სულ არ გამოვა. გაზეთის წლიური ფასი ყველგან რუსეთში 3 მანეთი. ბ.ბ ხელის მომწერლებს ვთხოვთ გაზეთის ფასი მთელი წლის ერთად გამოგვიგზავნონ

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაური საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაჯაიკის შესახვევში № 17) და თფილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში, სიმონიანცის შუშის მაღაზიაში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. და 50 კ.

გაზეთი უბრუნდება დასაბუქდაც. ყოველგვარ განცხადებებს.

სამრევლო სკოლები სახელმწიფო სათათბიროში.

დღეს სახელმწიფო სათათბიროში ირჩევა საკითხი შესახებ სამრევლო სკოლების ყოფნა-არყოფნისა. არყოფნის მომხრენი და დამცველნი, რა თქმა უნდა, მემარცხენენი არიან. მათ სხვა და სხვა საბუთები მოყავთ ამ სკოლების არყოფნის სასარგებლოდ, მაგრამ არცერთი ამ საბუთი არ არის, რაც უნდათ თქვან მემარცხენეებმა. მათი მისწრაფებაა, განსდევნონ ღმერთი სკოლიდან, შექმნან უსჯულო სკოლა, სადაც, როგორც დღეს საფრანგეთის მართებლობის სკოლებშია, არ იხსენებოდეს ღვთის სახელი. მათ სურთ, რომ ხალხმა არ იცოდეს ღმერთი. ამით ისინი ვითომ ბედნიერებას უმზადებენ კაცობრიობას, მათ ჰგონიათ, ვითომ სარწმუნოება-დაკარგული ხალხი მალე დაადგება პროგრესის გზას, რომელსაც დღეს



სარწმუნოება ელოდება წინ; ისინი აზრობენ, რომ სარწმუნოების ბორკილებიდან განთავისუფლებული ხალხი შემუსრავს ძველ წესწყობილებას და მის ნამუსრზე შექმნის ახალს, მათ სასიამოვნო წესწყობილებას. მათ ჰგონიათ, რომ სარწმუნოების გავლენას მოკლებული მეცნიერება ფრთებს შეისხამს და დედამიწას, ამ ბორკილების ბუდეს, საშობედ გადააქცევს. ასე ფიქრობენ მემარცხენენი და რაც ძალი და ღონე აქვთ ცდილობენ ჩამოაშორონ შკოლა ეკლესიას. მაგრამ ჩვენ ვერ გავგიბედნია იმ ჯოჯოხეთში ჩახედვა, რომელსაც დაემგვანება სარწმუნოება-დაკარგული საზოგადოება კაცთა. ჯერ ერთი მიზან-დაკარგული ადამიანის ცხოვრებაც წარმოუდგენელია და რა იქნება მილიონ და ბილიონ უმიზნო ადამიანთ ცხოვრება?! ვინც ურწმუნოა, ვისაც ღმერთი და უკვდავება არა სწამს, ე. ი. ვინც დაჰკარგა უკანასკნელი მიზანი თავის სიცოცხლისა, მან ჯერ თავის გულში ჩაიხედოს, რა ჯოჯოხეთი უტრიალებს, და შემდეგ ხალხზე გადაიტანოს ასეთი მდგომარეობა. მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია, მას არ შეუძლია თუ მსგავსთა შორის არ განისვენა და აი ღუმის მემარცხენეთაც უნდათ შექმნან თავის მსგავსი საზოგადოება, სადაც მათ გაედლებინებოდეს, სადაც ისინი მოსვენებულად გრძობდენ თავს.

სკოლა პოლიტიკიდან გაათავისუფლეთო, რომ ამბობდენ მემარცხენი კიდევ გვესმის, მაგრამ ის კი აღარ გვესმის როცა ამბობენ სკოლიდან ეკლესია და ღმერთი გამოდენეთო. და რა იციან იმათ, რომ საღვთო ავტორიტეტს მოკლებული ხალხი პარველათ მათზე არ აღმართავს თავის მრისხანების დროშას, პირველათ მათ არ შეიწირავს ზვარაკად? ყოველ შემთხვევაში სიფრთხილით თავი არ ატკივდება. ხალხის სარწმუნოების შელახვარც ეგრე ადვილი საქმეა. ხალხი სათათბროს კარნახითარ დაკარგავს გონების თვალთაგან ღმერთს და არც დაუშადლებს მას შკოლიდან სარწმუნოების განდევნას, რაც მისთვის არ დაუვალებია მას....

ხელი.

საჭიროა თუ არა კაცისათვის რელიგია?

გაგრძელება¹⁾.

„საყურადღებოა, — ამბობს მონტესკიე, — ქრისტიანობრივი რელიგია, რომლის მიზანიც მხოლოდ საიქო ცხოვრების ნეტარებაა, აღწევს კაცს ბედნიერებას სააქო ცხოვრებაშიაც“. მონტესკიე ამტკიცებს, რომ ბედნიერება არის ხვედრი მორწმუნე ადამიანისა ამ ქვეყანაშივე.

ურწმუნოებს მიაჩნიათ რელიგია უბრალო ხალხის საჭიროებად, და ამბობენ, რომ განათლებულ კაცს შეუძლიან უიმისოდ ყოფნა, რომ რელიგია არის გამოგონილება სჯულისმდებლებისა იმისთვის, რომ იყოლიონ ხალხი მორჩილებაში. მაგრამ, თუ — კი რელიგია არის აგრეთვე აუცილებელი საჭიროება, კაცობრიობის უძლეველი მისწრაფება, — მაშ განა ის შეიძლება რომ გამოგონილი იყოს ხალხისაგან? განა ხალხმა მოიგონა სიყვარული სამშობლოსადმი? სიყვარული მშობლებისადმი და სხვა ადამიანური გრძობები? თუ — კი რელიგია წარმოადგება თვით შეგნებისაგან ღმერთზე — შემოქმედზე, ეგრეთვე, როგორც შეგნებისაგან ჩვენს არსებაზე, გაჩენილზე და გონიერზე, თუ — კი მხოლოდ რელიგია აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას ბედნიერებაზე და მისწრაფებას გაკეთილოვანებისას, — მაშ იგი ერთნაირათ საჭიროა, როგორც ნასწავლებისათვის, ისე უსწავლელებისთვისაც, როგორც ღარიბებისთვის, ისე მდიდრებისთვისაც. განა ამა ქვეყნის ბედნიერები სხვანაირად არიან გაჩენილები მინამ ისინი, ვისი ხვედრიც მწუხარება და სიღარიბეა? განა სიმდიდრე და სწავლა ხდიან ხალხსა ღვთისაგან დამოუკიდებლათ? — ამ კითხვებზე პასუხები შეგვატყობინებენ ჩვენ საით არის ქეშმარიტება. გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ რელიგიის მოთხოვნილება იმყოფება ყოველ ადამიანის სულის დაფარულ სიღრმეში. საქმარისია ზოგჯერ რომელიმე მოულოდნელი გარემოება, რომ ეს მოთხოვნილება გამოაშკარავდეს. ვინ გაჩერდება ურწმუნოდ კუბოს დანახვაზე, რომელშიაც სძევს მისი საყვარელი არსება?! რომელი გონიერი ადამიანი არ განიცდის სურ-

¹⁾ იხ. „ზინ საქ.“ № 31.

ვილს ღვთისადმი მოქცევისას, როდესაც გრძნობს დასუსტებას და სიკვდილის მოახლოვებას? საკვირველი არაა ამიტომ, რომ ჩვენი ღმრთის ორმა შესანიშნავმა მატერიალისტმა,— **გაბანიშმა** და **ბრუსემ**,—სიკვდილის წინ, შეგნებით უარჰყვეს თავიანთი ატივისტური ფილოსოფია.

უსაფუძვლო მოაზრენი ხსნიან ასეთ დაბრუნებას ღვთისადმი სიბერეში—სულის სისუსტით. მაგრამ პლატონი, თუმცა წარმართი, უწოდებს კაცის მიერ თავის ურწმუნო წარსულის უარყოფას—სულიერ გამოღვივებად, სინიღისის გამოფხიზლებად.

„როდესაც კაცი გრძნობს სიკვდილის მოახლოვებას, — ამბობს პლატონი, — ზოგიერთი საგნები, რომლებსაც ის წინათ გულგრილად ეპყრობოდა, შეაშფოთებენ მას. მოთხრობანი ჯოჯოხეთზე და იქ ცოდვილებისთვის გამზადებულ ტანჯვაზე, რომლებიც ოდესმე შეადგენდნენ საგანს მისი დაცივისას, ეხლა შეაშფოთებენ მის სულს...; რაც ახლოა ასეთ მრისხანე საგნებთან, მით უფრო ნათელია წარმოდგენა საიქიო ცხოვრებაზე“.

„როდესაც კაცის ვნებანი სცხრებიან, როდესაც სიამაყე და ვნებები ყურღებიან, მაშინ დაშვიდებულის გონები კაცი ხდება უფრო მორწმუნე“, შენიშნავს **მენ-ბი-რანი**, „მე დარწმუნებული ვარ, — ამბობს იგი, — რომ თვინიერ შიში ა სიკვდილის წინ, რელიგიური გრძნობა ვითარდება იმისდა მიხედვით, რამდენადაც კაცი ხანში შედის, რადგანაც მაშინ გულისთქმანი სცხრებიან, გრძნობიერება ნაკლებად აღელვებულია, გონება ნაკლებად დაბნელებულია შთაბეჭდილებებით; მაშინ კაცს ეცხადება ღმერთი, უმაღლესი სიკეთე; ჩვენი სული იმას ხედავს, გრძნობს და მიისწრაფის მისკენ, როგორც წყაროსაკენ ყოვლისავე სინათლისა“.

ასეთმა დარბაისლურმა და გონიერულმა თქმულებამ რელიგიის საჭიროებაზე აიძულა ნასწავლი ალექსი ტოლსკვილი, რომლის სახელსაც უჭერია განსაკუთრებული ადგილი ამერიკის რესპუბლიკის ისტორიაში, წარმოეთქვა სიკვდილის წინ მოფიქრებული შენიშვნა: „მე ვნანობ, რომ ჩემ სიცოცხლეში ნაკლებად გილს ვაძლევდი რელიგიას“. რამდენ კაცს სიკვდილის წინ უგვრძნია ასეთივე სინანული!..

II.

რელიგია საზოგადოებისათვის.

ყოველთვის ცნობილი ყოფილა, რომ რელიგია უსათუოდ საჭიროა საზოგადოების კეთილდღეობისა და სიმტკიცისათვის.

ამაზე ყური მიუგდოთ ჯერ ძველი დროის ბრძენებს. პლატონი ამბობს: „ღვთის არ ცოდნა არის სახემწიფოსთვის დიდი უბედურება; და ვინც არღვევს რელიგიას, ის ამასთან ერთად არღვევს საზოგადოების საფუძველს რელიგიის მომხრე ქალაქები და სახელმწიფოები მომეტებულ ხანს სკოცხლობდენ; ის საუკუნოები, რომლებმაც სახელი გაითქვეს თავის რელიგიოზობით, უფრო მდიდრები იყვნენ გენიოსებით“.

ეხლანდელი სოფისტები, რომლებიც სცილობდნენ რელიგიის მოსპობას, მაინც კიდევ გამოტყდნენ, რომ იგი საჭიროა საზოგადოებისათვის. „არც ერთი სახელმწიფო არ მოწყობილა, — ამბობს რუსსო, — რომ საფუძვლად რელიგია არ ჰქონოდა“. ვოლტერი ამბობს: „ხალხი ყოველთვის საჭიროებს თავდაპირველ საშუალებას, და ყველგან, სადაც საზოგადოება არის, იქ რელიგია საჭიროა; კანონები წარმოადგენენ ლაგამს ცხად საზოგადოებრივ დანაშაულობათა წინააღმდეგ, ხოლო რელიგია — კედლი, საიდუმლო დანაშაულობათა წინააღმდეგ“. **გიუმი** ამბობს: „აბა ნახეთ თქვენ ხალხი ურელიგიო; თუ ნახავთ ასეთს, დარწმუნებული იყავით, რომ იგი შორს ვერ წასულა გარეული ცხოველებიდან“.

ასეთი მოწმობების შემდეგ, ბევრათოთ გონებას და გამოცდილებას.

ყოველივე საზოგადოება, რომელიც ზრუნავს თავის წევრების ბედნიერებაზე, მოკალეა მისცეს მას წესიერება და მშვიდობიანობა. როდესაც საზოგადოებრივ სხეულში არის გაშფეებული უწყესობა, მაშინ საზოგადოება სწვალობს მძლავრობისა და ანარხისაგან, და ამიტომ თავისუფლების ნაკლებობისაგანაც. ამნაირათ საზოგადოება ვერ სწვდება თავის მიზანს, რომლისთვისაც იმან მიიღო საფუძველი. წესიერების დამყარება საზოგადოებრივ სხეულში შეუძლებელია, თუ იგი არ ემორჩილება თავს, რომელიც მართავს მას წევრებს, და თუ მისი წევრები არ ემორჩილებიან ერთ უფლებას, საჭიროა კანონები, რომლებიც მოაწესრიგებენ მცხოვრებთა საზოგადოებრივ და

კერძო საქციელებს. ასეთია პირობები წესიერებისა, გარმონიისა, ყოველივე საზოგადოების ბედნიერებისა; ამ დასკვნაზე მიყვებით ჩვენ გონებასა და გამოცდილებას.

ასე, რელიგია აკურთხეს უფლებას და მორჩილებას, ბრძანებს და დამორჩილებას, კანონს და მოვალეობას; რელიგია გარდააქცევს გარეგან კანონებს სინიდისის კანონებად-შეუფერდებს მათ ცხოვრებას.

ამ სიტყვით—უფლება იგულისხმება, როგორც ხელ მწიფება ბრძანებისა და დამორჩილება მათი, ვისზედაც იგი ვრცელდება. სრული უფლება შეადგენს ხელმწიფებას მთელი ქვეყნის შემოქმედისას. აი ამიტომ უფლება ეკუთვნის მხოლოდ ერთ ღმერთს, რომელიც არის მიზეზი და შემოქმედი მთელი ქვეყნისა; იმან ყველაფერი გააჩინა და ყოველივეს ის განაგებს; ყოველი გაჩენილი იმაზეა დამოკიდებული; ის—კი არავისზე არ არის დამოკიდებული. სამართლიანია ამიტომ სიტყვები ჰაველ მოციქულისა, რომ ყოველი ხელმწიფება ღვთისგან არს (რომ. XIII). ამნაირათ, უფლება-ხელმწიფება თავისი დასაბამით ღვთაებრივია, თუ გადავიტანთ ხალხზე; ყოველივე ქვეყნიური ხელმწიფება, რომელიც კაცის კეთილისთვის ზრუნავს, მხოლოდ ღვთის სახელით შეიძლება იყვეს და არის მისი აღმასრულებელი.

რელიგიის ამ დიდი მოძღვრებით, ხელმწიფებას აქვს ღვთაებრივი დასაბამი. დამორჩილება ხელმწიფებისა არ არის შიში მონისა, რომელიც იდრეკავს ქედს თავის ბატონის წინაშე; ეს თავისუფალი და პატიოსნობა დამორჩილებაა გონიერი ქმნილებისა დიდი შემოქმედის ნებისადმი;—უდიდესი აქტია, რომელიც გააჩვენებს კაცს ქვეყნის სხვა არსებებდგან.

ხელმწიფება, დამყარებული შემოქმედის სახელზე, რომელმაც ყველაფერი გააჩინა და ყველაფერს განაგებს, უნდა აგრეთვე იცავდეს საზოგადოებრივ ინტერესებს, და არა თავის კერძო ინტერესებს; იგი დაწესებულია საზოგადოებრივი სიყვითისათვის, და არა კერძო სიკეთისათვის. ხელმწიფება, რომელიც სცნობს თავის მაღალ დასაბამს, იფარავს უძლურს ძლიერისაგან, სპობს მონობას, აღადგენს ოჯახში ქალისა და ბავშვის გაქვლილ უფლებას. ამისთანა შემთხვევაში, მბრძანებელი უფლების და დამორჩილებულ ქვეშევრდომთა შორის სუფევს თანხმობა;—სიყვარული არის ფაქტორი, რომელიც იცავს საზოგადოებაში წესიერებას,

თავისუფლებას, კეთილდღეობას. ქრისტიანობამ მისცა საზოგადოებას აგრეთვე ძალა და სიმამაცე.

თანამედროვე ურწმუნოება სცდილობს შეარყიოს ეს დიდი საფუძველი ხელმწიფებისა და დამოკიდებულობისა, უფლებისა და მოვალეობისა. რუსსო სცდილობდა გამოეგონა ახალი თეორია საზოგადოების დაწესებულებისა, დამოკიდებულობისა ხელმწიფებასა და ქვეშევრდომთა შორის. ის ამტკიცებს, რომ ხალხი გაჩენილია დამოუკიდებელი პირველი მიზეზისაგან, და აგრეთვე ერთმანეთის დამოუკიდებელი; საზოგადოებრივი უფლების საძირკველი არის ერთმანეთთან შეთანხმება; საზოგადოება არ არის შედგენილი ბუნებრივი კანონებისა, — იგი თავისუფალი დაწესებულებაა. ამ თეორიით ცალკე პირები შეთანხმდებიან, რომ საზოგადოებად იცხოვრონ, შეაერთებენ თავიანთ ძალას, და ირჩევენ ხელმწიფებას, რომელმაც უნდა ჰმართოს ისინი მათის ინტერესების თანახმად. მაგრამ თითონვე იტოვებენ უფლებას, რომ თავიანთი მიხედვით მოსპონ ეს ხელაწიფება და გახდნენ კიდევ დამოუკიდებლად. მაგრამ რა ხელმწიფება უნდა იყვეს, ხალხისდაყენებელი?—რუსსოს აზრით, — ეს არის კერძო პირების უფლებათა რაოდენობა. მაგრამ რა უფლებებია ეს? არც ერთ კაცს არა აქვს უფლება თავის მსგავს არსებაზე, რადგანაც ყველა ადამიანები იგულებიან ერთი-ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, და არავის არა აქვს უფლება თავის თავზე, რადგანაც არ შეუძლიან ამალეობა თავის თავზე, ამნაირად უფლება, რუსსოს აზრით, არ წარმოადგენს ზნეობრივ ძალას, კანონს ბრძანებულობისას, რომელიც შეიცავდეს დამორჩილების მოვალეობას; ეს, მისი აზრით, არის ფიზიკური ძალა, იძულებითი უფლება, უფლება კაცისა კაცზედ. ამ თეორიით, ჩვენ ვხედავთ, მახინჯდება შეხედულობა უფლებაზე, რომელიც ბრძანებს და მოვალეობაზე. რომელიც ემორჩილება; ჰმოქმედობს მხოლოდ ნივთიერი, გარეგანი ძალა, აღძრული კერძო ეგოიზმით, რომელიც ემსახურება კერძო ინტერესებს.

ადვილი გასაგებია, რომ ეს თეორია არის მხოლოდ ოცნება. არასოდეს კერძო პირებს, რომლებიც შეადგენდნენ სახელმწიფოს არ უცხოვრიათ ერთმანეთში მხოლოდ პირობის ხელშეკრულებით; არამედ-ყოველთვის საზოგადოება შესდგებოდა ოჯახობრივი საფუძვლის ნიადაგზე ოჯახები, რომელსაც გამრავლ-

დებოდნენ და გაფართოვდებოდნენ, შეადგენდნენ ქალაქებს და სახელმწიფოებს. წარმოვიდგინოთ საზოგადოება უღვთოდ, მოვსპოთ მასში მხოლოდ ძალა, დავუქვემდებაროთ, როგორც უფლებს, ისე ხელ-ქვეშეთ მყოფნი, მხოლოდ ეგოისტურ სიყვარულს, და არა ქვეშაობის და სიკეთის სიყვარულს, და მაშინ ცხადად დაინახავთ, რომ კაცი ცხოველების მდგომარეობამდის ჩამოვა. იქ უფლებს ძლიერისა მუდმივ ბრძოლაში იქნება ქვეშევრდომებთან, — სუსტებთან. თუ უღვთო საზოგადოებაში აჯობებს მთავრობის მხარე, მაშინ გამეფდება დაჯაბნვა; ხოლო თუ ქვეშევრდომებმა გაიმარჯვეს—მაშინ — ანარხია ჩამოვარდება. ისტორიიდან სჩანს, რომ ასეთია სამწუხარო შედეგები რევოლიუციონური მოძღვრებისა.

მღვდ. იოანე ლუკიანოვი.

(შემდეგი იქნება).



ვინ არის დანაშაული?

მ. დეკ. დ. ღამბაშიძე თავის „მწყემის“ № 13—14-ში ხელს აფარებს ექსარხოსებს და წინააღმდეგ მირიანინის სტატიისა, რომელიც მოთავსებულია „შინ. საქმეების“ № 26 სათაურით „უფლებო ეკლესია“, ამბობს, რომ საეკლესიო მამულების სახელმწიფოდ შერაცხვაში დიდი ბრალი ჩვენი ეკლესიის მაშინდელ მმართველ ეპისკოპოსებს და დეკანოზებს ედებათო. ამათ დიდათ გაიხარეს და მოღებნებიც კი გადიხადეს ასეთი სიკეთის აღმოჩენისთვისო. ჩვენ მამულებს ვერ უფლიდით, ვერ ესარგებლობდით მათითო და ამიტომ ამოდენა უზღვავე მამულსსულ მცირე შემოსავალი შემოქონდაო.

ჩვენი წინაპრები რომ ნაკლები მეურნეები და მამულის გამგებლები იყვნენ ამაზე ჩვენც დავემოწმებით მ. დეკანოზს რამდენიმეთ, ხოლო რომ ეს გარეობა ექსარხოსებს და საზოგადოთ უმალდეს სასულიერო მთავრობას ვერ ამართლებს, ესეც ცხადზე უცხადესი უნდა იყოს ჩვენი აზრით.

რუსეთის ეკლესიამ დაინახა, რომ თავის

ერთმორწმუნე საქართველოს ეკლესია თავის თავს ვერ პატრონობს, ვერ განაგებს; ამიტომ იგი დაეპატრონა მას და დაუყენა თავის მზრუნველ-აპეკუნები, რომელთ ერთ უმთავრესადღებულებას შეადგენდა საეკლესიო ქონების და მამულების დაცვა და წარმოება. ამის შემდეგ ადგილობრივი ეპისკოპოს—დეკანოზები, როგორც სხვაში, ისე საეკლესიო ადგილ-მამულის მოვლა-პატრონობაშიაც დამოკიდებული შეიქმნენ ექსარხოსებისაგან, რომელთაც ეკუთვნოდა უმალდესი გამგებლობა. ამიტომაც ამ უკანასკნელებს უნდა მიეღოთ საქირო ზომები, რომ საეკლესიო ქონება ერთი წხრით დაკუთლიყო გაფლანგვა-დაკარგვისაგან და მეორე მხრით კარგი შემოსავალი მოეცა. ასეთია აზრი და მნიშვნელობა ყოველი აპეკისა და ასე უნდა ყოფილიყო ამ შემთხვევაშიაც; პირველი ხმა, პირველი პროტესტი მამულების ჩამორთმევისთვის მაშინდელ ექსარხოსს უნდა გაეცხადებია, თუ იგი ნამდვილი წარმომადგენელი აპეკუნი იყო საქართველოს ეკლესიისა. თუ ამ ხმის ამოდების, თუ ამ პროტესტის შემდეგ საეკლესიო მამულები მაინც სახაზინოთ შეირაცხებოდა. ექსარხოსს ის მაინც უნდა ეშუამდგომლებია, რომ სამაგიეროთ ღირებული იჯარა შემოსვლოდა ეკლესიას თავის მამულებიდან. ასე უნდა მოქცულიყო მაშინდელი ჩვენი ეკლესიის აპეკუნი, რაც, ვიმეორებთ, მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა, როგორც აპეკუნისას, და თუ ასე არ მოიქცა ბრალი მას ედება და არა მაშინდელ საქართველოს დამონებულ, დაბეჩავებულ, უფლება-ახდელ სამღვდლოებას.

თუ ეს საანბანო ქვეშაობა არ ესმის მ. დეკანოზს, განუმარტავთ მაგალითით. ესთქვათ, მ. დეკანოზი მზრუნველ-აპეკუნია რომელიმე ობლებისა და მათი მამულისა. ესთქვათ, ამ ობლების მამული მეზობლებმა დაიუფლეს და ობლებს მესადესაც არ აძლევენ იმ ღალისას, რაც უნდა შემოვიდეს მამულისაგან. ესთქვათ, ამ გარეობას მამა აპეკუნმა დეკანოზმა ყურადღება არ მიაქცია და ობლების მამული მეზობლებს უხმოთ შეატოვა ხელში.

ნეტა ვინ იქნება დანაშაული ობლების

დარბევაში, თვით ობლები, თუ მათი აპექუნი?... პასუხს მ. დეკანოზ ლამბაშიძეს ვსთხოვთ.

რედ



წადმა-უკუღმა.

II.

მთხარტმა ვ. წეთისთელულისა.

გაგრძელება¹⁾

ლიზა იყო ერთად-ერთი ქალი. იორდანე ასლანისი, ის მხოლოდ ერთი შეადგენდა მისი მშობლების ნუგეშს და იმედს, ის აღზრდილიყო მეტად პატიოსანი დედის კალთაში, ყმაწვილობიდანვე სამაგალითოდ აღზრდილ იორდანეს ზედ-გავლენის ქვეშ. ის იყო მშობლების სიხარული და მისი კეთილი აღზრდით და ადამიანური ქცევით აღტაცებაში მოდიოდნენ მშობლები. მაგრამ არ ითქმის, რომ ისინი მთლად კმაყოფილნი ყოფილყვნენ ცხოვრებისა. გადიოდა აგერ შვიდი-რვა წელიწადი და ლიზას მომყოლი შვილი არ უჩნდებოდათ, რაც მეტის-მეტად გულს უწყლავდა ახლად სიღარიბიდან გამოსულ ადამიანებს. „რალა ერთის შვილის ამარა დავრჩით?—წყენით ამბობდა იორდანე, — ის კიდევ ქალი-შვილისა? ნუთუ ეს წერებულა ჩვენს თავზე, რომ მემკვიდრე არ გვყოლოდა? ქალი-შვილი რა შვილია? ვინ იცის ვისთან გეიქცევა, ვიზე გაგვცლის, სად მიაბნ-მოაბნევენ ჩვენ ქონებასო...“ ასეთი აზრები არც ქრისტიანს შორდებოდა თავიდან, მაგრამ ამ შემთხვევაში, ის მაინც უფრო შორს მხედველი აღმოჩნდა იორდანეზე. შვილი ყველა ერთია, — ეუბნებოდა ის იორდანეს, — რომელიც კაი იქნება, ქალიც კაია და ვაჟიც და რომელიც უვარგისი გამოდგება, ხეირი არც ერთისგან არ გამოვა. განა ცოტანი არიან ვაჟები, რომელნიც, მშობლებს სიცოცხლეს უმწარებენ, ქონებასაც აბნევენ, არც არაფერს აკეთებენ, თითონაც იტანჯებიან და მშობლებსაც ტანჯავენ? ღმერთს რათ ვაწყენიოთ

ასეთი ყვედრებით? მან უკეთ იცის, ვის რა ხედება: თუ ჩვენ ლიზას ამარა დაგვეტოვა, იქნება იმიტომ, რომ ლიზა ქალთაც გამოგვადგეს და ვაჟთაც; იქნება ეს უფრო კაი მემკვიდრე შეიქნეს ჩვენი ქონებისა, ვინემ ორ-სამი ვიყიო...“ ასეთი სიტყვებით ანუგეშებდა ცოლი ქმარს და კიდევ თანდათან უქარვებდა, შვილების აღრჩევის შესახებ, იორდანეს იმ დახავსებულ შეხედულობას, რომლითაც ზოგიერთი მშობლები მართლაც უზომო მწუხარებას ეძლევიან ხოლმე.

ლიზას სასწავლებელში მიცემის დღეც დადგა და კიდევ სიამოვნებით მიიღეს ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში. ის კარგა მომზადებული აღმოჩნდა და კარგადაც გამოიჩინა თავი გამოცდის დროს, რითაც მშობლებს სიხარული მოემატათ. ლიზამ თავიდანვე ისეთი მუყაითობით მოჰკიდა ხელი სწავლას, რომ, ცოტა არ იყოს, მშობლებს რალაც ერთგვარი მორიდება დაეხადათ. „ასე რომ სწავლობს, არ ამოვწყდეთ და არ დაგვისუსტდეს ბოვში. ქალი-შვილის სთავლა მაინც და მაინც დიდი არაფლის მომასთავებელია; კმარა მისთვის წერა-კითხვა, ზნეობა და ხელ-საქმობა ისთავლოს; ქალი თვარა ვაჟი არ არის და რა მისი საქმეა ამდონი კითხვა და წერაო...“ — მსჯელობდა ცოლ ქმარი და ლიზასაც თანდათან აპარებდენ ამგვარ შეხედულობას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ასეთს დარიგებას ლიზა ყურადღებას არ აქცევდა, პირიქით მეცადინეობა გააორკეცა და მეოთხე კლასამდის ის პირველ შეგირდადაც ითვლებოდა და აღმზრდელ დედებსაც სულს ერჩიათ. ვინ იცის, იქნება ასე პირველ შეგირდათ გაეთავებია ლიზას გიმნაზია, რომ დედის რჩევით, რომელსაც ეს უკანასკნელი უფრო ქმრის მინდობილებით ასრულებდა, მას მეცადინეობისათვის არ ჩამოეკლო და ბოლოს და ბოლოს მთლად არ აელო ხელი სწავლისათვის. მეოთხედან ის, როგორც იყო, გადავიდა მეხუთეში, მაგრამ აქ სულ მიატოვა სწავლა. ამ გარემოებისა გამო აღმზრდელები საყვედურს უცხადებდენ ლიზას მშობლებს და ზოგიერთ დარიგებებსაც აძლეადენ, მაგრამ ამით საქმე წინ არ წასულა. ის მეხუთეში ჩაჩა, განმეორებით წელშიაც არ უმატა სწავლას, ბოლოს შეამჩნიეს, რომ ლიზა, ერთ საღამოს, გიმნაზიის შეგირდ ყმაწვილთან ლაპარაკობდა, მიიტანეს რალაც-რალაცა ექვები და დაბოლავებით გამოირიცხეს სასწავლებლიდან. ლიზამ

¹⁾ იხ. ზინ. საქ. № 31,

ეს მეტის-მეტად იწყინა და მიზეზი მშობლებზე მიიტანა, მაგრამ მშობლებს ეს გარემოება არაფრათ არ ჩაუგდიათ. „თუ გამოვრიცხეს, არც საქირაა, — უთხრა მას მამამ, — შენ ერთადერთი შვილი ხარ ჩვენი და ნამეტანი სთავლით რომ თავი შეიღალა, არც იმიზე მცალია მე ის კი არ მინდა, შენ შენის სთავლით და შრომით იცხოვრო, ნაშრომი მე თვითონ კარგა ძალი მაქვს, თუ მოხმარება შეიძელი შენისთანას ხუთს ეყოფა... გასთავლეს, სთავლით ის იკმარე და ჩემგან კიდევ ნუ დაგავიწყდება, რომ თუ ღვთისნიერი ქალი შეიქენი, სარწმუნოება იქონიე და უზნობით თავი არ გეიფუქე, ცხოვრებისათვის ყველაფერი გაქვს, თუ ღმერთმა სიცოცხლე გაჩუქა და თუ სარწმუნოებას გადუღეკი, რაც ქვეყნიერობაზე სთავლია, სულ ყველა რომ იცოდე, შენისთანა უბედური მაინც არვინ იქნება. მამაჩემი ერთი გროშის პატრონი არ იყო; ღმერთმა ცხონება დააყენოს მის სულს; მე კარკათ მახსოვს, როცა ქუთაისში ჩამომიყვანა დედი ჩემისგან მოქსოვილი ბამბის პერანგი და მისი ამხანაგი მეცვა და მამიჩემისაგან ამოსხმული ტყავის ქალამნები მიმშვენებდნენ ფეხებს; მეტი სიღარიბეც არ შეიძლებოდა, რომ ჩვენ გვქონდა, მარა სიმდიდრეც ბევრი მომცა ცხონებულმა მამა ჩემმა, ეს იყო კეთილი ზნეობა და ღვთის სარწმუნოება. ღმერთმა ნათელი დააყენოს გაბრიელ ხუცესს, რომლის ოჯახშიაც მე გვეიზარდე; იქ წიგნი ბევრი არაფელი მისთავლია, მარა მისი ნასთავლი პირჯერისწერა და ლოცვები ახლაც ისე მახსოვს, რომ თითქო გუშინ ესწავლებიოს ჩემთვის. დაეადეკი კეთილ გზას, გამევიდე ხელი და ღმერთმა არ მომაკლო მისი უხვი მოწყალება: ქონება ბევრი მომცა და ყველაზე უკეთესი დედაშენი მაჩუქა. ამდონი ხანია ერთათ ვართ და ერთი პატარა საწყენი რამეთი ჩვენი მყუდრო ცხოვრება არ დარღვეულა; თითქო საგანგებოთ ერთი-მეორესთვის ვყოფილიყოთ გაჩენილი, რაც ერთს გვსურს, ის გვინდა მეორეს და ერთიც რომ ქვია, მეტი სიტუვით და მოთხოვნით ლეებით ერთი-მეორე არ შეგვიწუხებია. შენც ხომ ერთ დღეს უნდა გათხოვდე შეილო, შენც მოგელის, ღვთის მოწყალებით, ქმარ-შვილი და საკმაოა ჩვენი მაგალითი გადილო და ურიგო ცხოვრებით თავი არ გეიუპატიურო. მეტი შენი საზრუნველი არაფელი არ არის, თუ რიგინათ მოიხმარ, ათი შვილიც რო გეყოლოს, ჩვენი ქონება მაინც გეყოფა და თუ

ულმართო-ბედოვლათობას ხელი მიყავით, ხუთი ამდონიც რომ გქონდეს, ექვს თვეს არ გეყოფა...

უფრო მოხერხებულათ და თავ-თავის დროზე და ადგილზე დედა აძლევდა ღიზას საქირო სწავლას და მის გონიერული დარიგებას მეტის-მეტი ზედ-გავლენა და აღმზრდელი მნიშვნელობა ჰქონდა ღიზასთვის. აღზრდაც არის და აღზრდაც, მაგრამ ყოველგვარი სიტყვიერ აღზრდა-დარიგებაზე მეტი გავლენა ცოცხალ მაგალითებს აქვს საზოგადოდ აღამიანზე და, რა თქმა უნდა, ღიზაზედაც უფრო მისი მშობლების კეთილი და ქრისტიანული ცხოვრების გაკვეთილებმა იმოქმედეს, თუმც არც ზებირი დარიგებები დარჩენია მას უყურადღებოდ. ამ სახით ღიზა აღიზარდა მეტად კარგ პირობებში და მისი დამჯდარი ქუა, ყოფაქცევა, უმზაკვრო გული, რაც თითქო საგანგებოდ დესაკუთრებია განგებას მისთვის და ყოველგვარი კეთილი სათნოებანი თავდებნი იყვნენ მისი მეტად ჩინებული მომავლისა.

ღიზას ძალიან დასწყვიტა გული გიმანაზიიდან გამორიცხვამ, მაგრამ მშობლების წაქეზებით, ის თანდათან შეურიგდა ამ წყენას. მან ახლა ხარბად მოჰკიდა ხელი წიგნების კითხვას, თითქო რაც გიმანაზიაში დააკლდა, წიგნების კითხვით ჰსურს შეიძინოსო. ჰკითხულობდა ის სხვადასხვა შინაარსის წიგნებს, მაგრამ უფრო კი მოთხოვრებები მოსწონდა და ისიც ისტორიული, სადაც სამშობლოსათვის თავდადებული ქართველების სიგმირე-სიმამაცე იყო აღწერილი. როცა ასეთს წიგნებს შეიძენდა, ხარბად დაეწაფებოდა მათ, როგორც მწყურვალე ანკარა წყალს და სანამ არ წაიკითხავდა, მოსვენება არ ეძლეოდა. ის გულის ფანქრებით მოელოდა თუ რითი გათავდებოდა საქმე ჩვენის გმირებისა და ხანდახან ისეთს ადგილებსაც წააწყდებოდა, რომ არ იცოდა განეგრო კითხვა თუ შეეწყვიტა, რომ მის გულს არ განეცადა ტრაგიკული ბოლო ქართველ გმირებისა. რამდენი ცრემლები არ უღვრია მას ამგვარ წიგნებზე და რამდენაირც ოცნებას არ დაუბუდებია მის გულში, როცა გაქირვებულ ყოფაში ჰხედავდა სამშობლოს და მისთვის თავ-განწირულ გმირებს! „ოხ! რატომ არ ვიყავ მაშინ მეც იქ, უძლეველი და მახვილ-შეუჩებელი ტანით, როგორ მივლენ-მოვლენდი მტრის რაზმებს და გავათავისუფლებდი სამშობლოს სისხლით მორწყვის-

გან!—წამოიძახებდა ის ხშირ-ხშირად, როცა სამშობლოს გასაქირში ჰხედავდა,—ნეტა სად არის დღეს ან გული ძველი ქართველებისა, ან სული?... ოჰ! სირცხვილო და დამცირებო...“ დასკვნადა ის მწუხარებით. ლიზას მეტის-მეტად უყვარდა პირდაპირობა, გამბედაობა და მოსწრებული სიტყვები და როცა ამგვარ რამეს გაიგონებდა, ის უეცრად წამოიძახებდა: „მისი ქირიმეო“ და ეს იყო მისი ნამდვილი გრძობაც.

ერთ საღამოს იორდანეს ესტუმრა ერთი ყმაწვილი კაცი და ახალი ამბავიც მოიტანა: „იცით რა მომხარა დღეს ქუთაისში?“—შეეკითხა ის იორდანეს, როცა მთელი ოჯახობა ჩაიხე იჯდა.

—არაფელი ვიცით,—ერთხმად მიუგო ყველამ.

—რაც გინდა იყოს, მაინც გაიმება კაცს, ასეთ გაბედულობას რომ გამეიჩინეს ჩვენიანი! რა კაია ოხერი ვაჟ-კაცობა?!—სთქვა ისევ ახალგაზრდამ და მხიარულობა დაეტყო სახეზე.

—თქვი აწი კაცო, ნუ დაგვაბრჩევი,—წამოიძახა უცებ ლიზამ, როცა ჩვენიანის გაბედულობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი; თვალები ვარსკვლავივით გაუბრწყინდა და მთელის არსებით სმენად ვარდაიქცა.

—დღეს №-ს წვეულობა ჰქონია და, რა თქმა უნდა, თუ ვინმე დიდკაცობა იყო ქუთაისში, არ კლებია მგონია თფილისიდანაც ყოფილან. სადილი №-ის საპატივცემოდ ყოფილა გამართული .. ის ოხერი ისა! რაფა ქარიანი თავით დეხებტება, მაგას გოუხმა თავი! ყველას იმისი ეშინია, ან რა აკლია თუ იცი? „დღეში სამი ათასი მანეთი აქვსო მამულის შემოსავალი“. რა ჯამოს არ იცის და რა ჩაიცვას! ქალებს დაადევს კუროსავით. მე მკითხე შენ და სამსახური რამე არ ქონდეს და მტვერიან ქალღღებში არ იჩხრიკებოდეს! დიდი კაცია თურმე..“

—აწი კაი შეკაცო!—გააწყვეტია სიტყვა ლიზამ,—ვიციტ ის, ვინც არის, შენ ის თქვი რა ყოფილა და იმის დიდ-კაცობას და ჩამამელობას თავი დაანებე.

—სადილზე, გრ. დ. პატივისცემისთვის, მისი ძმისწულიც ყოფილა დაპატიებული. ხომ გინახავთ აქ რომ დეიარება ჩოხიანი და ხანჯლიანი კ. დ., სამი კაცი გამეიქრება ტანათ. სადილობის დროს, იმ თავ-გამომხმარ №-ს უთქვამს:—რაც საქართველოში მოვსულეფარ, მას შემდეგ საქმლის გემო არ მინახავსო.—დე-

დასა საქართველოს საქმელები მუცელს გოუბერავდა!... სუყველას გაუცინია და პასუხი არავის მიუცია. მაშინ წამომდგარა ეს ჩოხიანი მგერელი და უპასუხნია:—ერთნაირი ცხოველი არისო, რომ გასუქდება პირში გემო გამოვლევა და მერე, რაც გინდა ასვა-აქამო, ვერაფრის გემოს ვერ იგრძნობსო“.—

კ. წუთისოფლელი.

(შემდეგი იქნება).



სინამდვილე სახარებასა.

გლაფოვიციგან.

ესე ყოველი დაიწერა, რათა გრწმენეს, რამეთუესო არს ქრისტე, ძე ღვთისა (ი. XX, 31).

უფალი ჩვენი იესო ქრისტე ქადაგობდა ზეპირათ და თითონ ერთი წიგნიც არ დაუწერია. მისი მოძღვრება, ზოგიერთი მისი სასწაულები და შესანიშნავი შემთხვევები მისი ცხოვრებიდგან ჩაწერილია ოთხ წიგნში, რომლებსაც საერთოთ სახარება ეწოდება.

თითქმის მხოლოდ ამ ოთხი სახარებიდგან ვღებულობთ ჩვენ ცნობებს შესახებ იესო ქრისტეს ცხოვრებისა და მოძღვრებისა. მაგრამ, თუ გვსურს გავეცნოთ იესო ქრისტეს პიროვნებას ამ წიგნებიდგან, საჭიროა წინდაწინვე დავრწმუნდეთ მათ სინამდვილეში (ე. ი., რამ იგინი დაიწერენ პირველ საუკუნეში მოციქულთაგან) და ქეშმარიტებაში (ე. ი., რომ სახარების მოთხრობები ქეშმარიტნი და უტყუარნი არიან).

ქვეყნიური ცხოვრება ი. ქრისტესი, მისი სასწაულთ-მოქმედება, მისი მოძღვრება, სიკვდილი და აღდგომა, ხოლო შემდეგ თავგანწირული ქადაგება მოციქულთა მაშინდელ ქვეყნიერობაზე,—ყველა ესენი, თავის თავათ, ისეთი შესანიშნავი

მოვლენანი არიან მსოფლიო ისტორიისა, რომლებზედაც ბევრი უნდა ეწერათ და ელაპარაკათ, როგორც თხანამედროვეებს, ისე შემდეგ შთამაშავლობასაც.

მაგრამ სხვა განსაკუთრებული მიზეზებიც იყვნენ, რომლებმაც აიძულეს წარმართობა ყურადღება მიექცია ქრისტეს მოძღვრებისათვის. ებრაელებმა, რომლებმაც ჯვარს აცვეს ქრისტე და რომლებიც ცოტა ხნის წინეთ ყვიროდნენ პილატეს წინ „სისხლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედაო“, დაგზავნეს (როგორც მოწმობს იუსტინე ფილოსოფოსი თავის წიგნში „საუბარი ტრიფონ ურიასთან თ. 108) მთელ დედამიწის ზურგზე რჩეული კაცები ხმის დასაყრელათ, „რომ გამოჩნდა უღვთო და უსჯულო მწვალებლობა (ცრუ მოძღვრება) ვიდაც იესო გალილეველისა, რომელიც ჩვენ ჯვარს ვაცვით, მაგრამ მოწაფეებმა მოიპარეს იგი საფლავიდან, სადაც დამარხული იყო ჯვარიდან გამოსხნის შემდეგ, და ატყუებენ ხალხს, რომ ვითომ იგი აღდგა მკვდრეთით და ამაღლდა ზეცად“.

ებრაელები, რომლებიც ცხოვრობდნენ მაშინ ვეებერთელა რომის იმპერიის თითქმის ყველა ქალაქებში, ეხმარებოდნენ ამ არჩეულ კაცებს და თავის მხრით ავრცელებდნენ ქრისტიანებზე დაუჯერებელ ცილისწამებას იმ მიზნით, რომ ამხედრებიან მათზე, როგორც ბოროტ მავნებელ მწვალებლებზე, სარწმუნოებაზე გულგრილი წარმართები.

ამ ცილისწამებამ გამოიწვია დევნა ქრისტიანებისა წარმართთაგან და ამავე ცილისწამებამ აიძულა ქრისტიანები, ერთი მხრით, ხელი შეეწყოთ თავის სუსტ და სარწმუნოებაში განუმტკიცებელ მოძმეთათვის ნუგეშ საცემლად შემაგონებელ წერილებით (ეფისტოლეებით),—მეორე მხრით კი თავი დაეცვათ, მხოლოდ არ იარაღით, არამედ სიტყვით და წერილო-

ლობით, ცილისწამებელთა და მდევნელთაგან.

მალე ქრისტიანეთა შორისაც გამოჩნდნენ მოციქულთა მიერ ნაქადაგებ სარწმუნოებისაგან განდგომილნი; საჭირო შეიქნა მათი ცრუმოძღვრების წინააღმდეგ ბრძოლა და დარღვევა....

ერთი სიტყვით პირველი საუკუნის მეორე ნახევრიდან უნდა გამოჩენილიყო და კიდევაც გამოჩნდა აურაცხელი წერილობითი ნაწარმოებნი შესახებ ცოტა ხნის წინ მომხდარ არა ჩვეულებრივ მოვლენათა. სწორეთ ეს წერილობითი ნაწარმოებნი არიან ის საბუთები, რომლებიც უნდა მივიღოთ, როგორც მოწმობა მათი ავტორებისა, და რამდენათაც ასეთი ნაწერები უძველესია და დაახლოვებული მოციქულთა დროზე, იმდენათ უფრო ძვირფასია იგი ჩვენი მიზნისათვის.

სამწუხაროთ, განძინებული მდევნელები ქრისტიანებთან ერთად ყველა ქრისტიანულ წიგნებსაც სპობდნენ და ანადგურებდნენ; ძრიელ მცირელა გადარჩა და მოაღწია ჩვენამდის. ამ-მცირედთაგანაც მისაღებია და გამოსადეგი ჩვენი მიზნისათვის ისეთები, რომლებსი სინამდვილეში ექვი არ არის და რომლებიც სწორეთ იმ მწერალს ეკუთვნიან, რომლის სახელსაც ატარებენ. ზოგი ამ მწერალთაგანნი— არიან მოციქულების პირდაპირი მოწაფენი, ვერეთ წოდებულნი მოციქულთა მამაკაცნი; სხვანი—უმეტეს ნაწილათ ყოფილი წარმართები, რომელთაც ქრისტიანობა მიიღეს სრულ ჰასაკში მყოფობის დროს; და, ბოლოს, მესამენი—ქრისტიანების შეფიცებულნი და დაუძინებულნი მტერნი.

მოციქულების პირდაპირ მოწაფეთა ნაწერებთაგან ჩვენამდის მოაღწიეს: წმ. ბარნაბა, წმ. კლიმენტ რომთა პაპის, წმ. ეგნატე ლმერთ შემოსილის და წმ. პოლიკარპეს ეპისტოლეებმა (წერილებმა), და აგრეთვე ზოგიერთმა ნაწყვეტებმა პაპი იეროპოლელის (ეგვიზიპის ნაწერებში); ირინეს და სხვების ნაწერებისამ.

ბარნაბა. მოციქულთა საქმის წიგნში ბარნაბა ნახსენებია, როგორც მოც. პავლეს მეგობარი და თანამოდგაწე, რომელსაც დამოკიდებულობა ჰქონია აგრეთვე სხვა მოწაფეებთანაც. მისი ეპისტოლე, როგორც მოწმობს კლიმენტ ალექსანდრიელი (რომელზედაც ქვევით გვექნება ლაპარაკი), მწერალი მეორე საუკუნის უკანასკნელი წლებისა, ცნობილი იყო, როგორც ნამდვილი სამოციქულო ეპისტოლე; როგორც ისტორიკოსები მოწმობენ, ეს ეპისტოლე დაწერილია იერუსალიმის დაქცევის შემდეგ 70-დან 80 წ. ქ. შ. ამ ეპისტოლეში მოყვანილია ორი პირდაპირი ადგილი მათეს სახარებიდან: — „მე მოვედი წოდებულ არა მართალთა, არამედ ცოდვითა სინანულად“ (XI, 13) და „მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“ (VI, 30) და ერთი ადგილი ლუკას სახარებიდან: „რომელი გთხოვდეს, მიეც“. როცა მოჰყავს ქრისტეს სიტყვები; „მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ,“ ბარნაბა უმატებს: „როგორც სწერია“ და ამით მოწმობს, რომ მან მოიღო ეს სიტყვები არა ზეპირ გადმოცემისაგან, არამედ წერილისაგან, ასეთი მოწმობა კი საბუთს გვაძლევს გადაჭრით ვსთქვათ, რომ ბარნაბამ იცოდა სახარება მათესი და ლუკასი.

სახარების სინამდვილის წინააღმდეგნი ამტკიცებდნენ, რომ სიტყვები: „როგორც სწერია“ შემდეგ ჩამატებულია ბარნაბას ლათინურათ ნათარგმნ ეპისტოლეში; მაგრამ ტიშენდორფმა აღმოაჩინა ძველთა ძველი ბერძნული ეტრატით ხელნაწერი ბიბლიისა (რომელსაც ეხლა სინას მთის კრებულს უწოდებენ), რომელშიდაც სავსებითაა მოყვანილი ბარნაბას ეპისტოლე ამავე სიტყვებით („როგორც სწერია“), მაშინ როდესაც ძველ ლათინურ ნათარგმნიდან ცნობილი იყო მხოლოდ ხუთი თავი ამ ეპისტოლესი. ბარნაბას ეპისტოლე ნათარგმნია ბერძნული ენიდან და, თუ ძველთა ძველბერძ-

ნულ ტექსტში ნახმარია (როგორც დაამტკიცა ტიშენდორფმა) სიტყვები „როგორც სწერია“, თავისთავთ ირღვევა სახარების სინამდვილის მოწინააღმდეგეთა საცადი შესახებ იმისა, რომ მნიშვნელობა დაუკარგონ ბარნაბას ეპისტოლეს, როგორც ღირს სარწმუნო მოწმობას.

კლიმენტ რომთა პაპი — იყო პირველთა წარმართი; მოაქცია და ნათელცხა მოც. პეტრემ, რომელმაც თავის წამებისწინა ხანებში დაადგინა იგი რომის ეპისკოპოსათ; იმპერატორ ტრანის დროს იგი გაგზავნეს ყირიმში ქვის სატენში სამუშაოთ, ხოლო შემდეგ ზღვაში დაახრჩვეს. მისი სხვა და სხვა ნაწერები, რომლებსაც საერთოდ „კლიმენტინებად“ სახელდებენ ყალბადაა ცნობილი, ხოლო კორინთელთა მიმართ მიწერილ მის ეპისტოლეს სინამდვილეზე ეჭვი არავის შეუტანია.

კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლეში, რომელიც დაწერილია 95 წ., კლიმენტი, როცა მოჰყავს სიტყვები მათესა და ლუკას სახარებიდან, უმატებს შემდეგ სიტყვებს: „ამბობს წერილი“ „ამბობს უფალი სახარებაში“. თუმცა მას თავის სიტყვით, მოჰყავს სახარების სიტყვები, მაგრამ ეს არ ამცირებს მის მოწმობას იმის შესახებ, რომ მის დროს სახარება უკვე ხმარებაში იყო.

ეგნატე ღმერთშემოსილი იყო ანტიოქის ეპისკოპოსი 67—710 ქ. შ. ეგსევი და იერონიმე მოწმობენ, რომ იგი, პოლიკარბე და პაპი მოც. იოანე ღვთისმეტყველის მოწაფეები იყვნენ, ხოლო იოანე ოქროპირი ამბობს, რომ იგი დაახლოებული იყო მოციქულებთან, მათთან იყოფებოდა და ეპისკოპოსობის ხარისხი მიიღო პირდაპირ მათგან და გახდა მემკვიდრე მოც. პეტრესი ქალ. ანტიოქიაში. (ქმ. ოქრ. 2, გვ. 633). ქრისტიანების დევნის დროს, როცა იმპერატორი ტრანე ანტიოქიაში მოვიდა, მას წარუდგინეს ეგნატე, როგორც ქრისტიანების ბელადი და ბურჯი სარწმუნოებისა. ტრანემ მოსთხოვა მას, რომ უარი ეყო ქრისტესთვის და ეზორვა კერპათთვის (ე. ი. სხვერპლი მიერთშია). ეგნატე მედგრაათ იღგა სარწმუნოებაზე; ამიტომ მას მიუსაჯეს სიკვდილი, წაიყვანეს რომში და

იქ ცირკში მხეცებს ჩაუგდეს შესაქმელათ ზნეობით გავლურებულ და გამხეცებულ ხალხის შესაქცევათ.

მის თხზულებათაგან მსწავლულ მკვლევართაგან ნამდვილ მის დაწერილებად აღიარებულია შვიდი ეპისტოლე. დაწერილი 107 წ. რომში მოგზაურობის დროს.

ამ ეპისტოლეებში, (იხ. ეპისტოლენი წმ. ეგნატე ღმერთშემოსილისა, გამოც. კაზან. სას. აკად. 1857 წ.) წმ. ეგნატე იხსენიებს სახარებას, როგორც საყოველთაოთ ცნობილ წიგნს და განასხვავებს მას წინასწარმეტყველთა და მოციქულთაგან (ე. ი. მოციქულთა ეპისტოლეთაგან), ასე რომ: ა) ფილადელფელთა მიმართ ეპისტოლეში ქალაქ ტროადიდგან, მე 9 მუხ., იგი ამბობს: „სახარება შეიცავს რაღაც უაღრესს, სახელდობრ—ჩვენს უფლის და მაცხოვრის იესო ქრისტეს მოსვლას, მის წამებას და აღდგომას. რამეთუ საყვარელმა წინასწარმეტყველებმა წინასწარ აუწყეს მაზე, ხოლო სახარება არის აღსრულება... ბ) სმიონელებთა მიმართ ეპისტოლეში მუხ. 5 შესახებ ურწმუნოთა იგი ამბობს: „ივინ ვერ დაარწმუნა ვერც წინასწარმეტყველებამ, ვერც მოსეს სჯულმა, და აქამომდეც ვერ აჯერებენ ვერც სახარება და ვერც წამება თვითულ ჩვენგანისა.“ იმავე ეპისტოლეს მეშვიდე მუხლში კი იგი იძლევა რჩევას, „რომ განეშორონ ასეთ ადამიანებს, და არც კერძოთ და არც საზოგადოებაში, არ ილაპარაკონ მათზე, არამედ ისმინონ წინასწარმეტყველებისა და განსაკუთრებით სახარებისა, რომელშიდაც ნაუწყებია ვნება უფლისა და უეჭველად დამტკიცებულია მისი მკვდრეთით აღდგომა“.

თავის აზრების დასამტკიცებლათ წმ. ეგნატეს ამ ეპისტოლეებში ხშირად მოჰყავს სიტყვა სიტყვაზე ზოგიერთი ადგილი სახარებისა; მაგალითად, რომაელთა მიმართ ეპისტოლეში, მეხ. მუხ.—**ჩა სარგებელ არს კაცისათვის, ყვეთუ სოფელი უოველი შეიძინოს, ხოლო სული თვისი იზღვიოს**“ (მათე XXI, 8) პოლიკარპეს მიმართ ეპისტოლეს მეორე მუხლში,—**„იყავ ბრძენ ვითარცა გველი და უმანკო, ვითარცა ტრედი“** (მათე X, 16); გ) სმირნელთა მიმართ ეპისტოლეს პირველ მუხლში,—

„უფალმა ჩვენმა ნათელილო იოანესაგან, რათა **აღასრულოს უოველი სიმაართე**“ (მათე III, 15); დ) იმავე ეპისტოლეს მესამე მუხლში,—**„როცა იგი (უფალი) მოვიდა მყოფთა მათ პეტრესათანა, უთხრამათ: ხელი შემახეთ მე და იხილეთ** (ლ. 24, 39.), რომ მე არა ვარ სული უსხეულო“.

წმ. ეგნატეს შვიდი ეპისტოლე ცნობილია ორი ზეღონაწერით, რომელთაგან ერთი შემოკლებულია, ხოლო მეორე ვრცელი. ზემო მოყვანილი სიტყვები ამოწერილია შემოკლებულ ხელნაწერებიდან; მაგრამ რადგან ვრცელი ხელნაწერიც მიღებულია, როგორც ნამდვილ ეგნატეს დაწერილი ასეთი ავტორიტეტებისაგან, როგორც არიან წ. ი. ოქროპირი, წმ. გრიგორი ორმეტყველი, წმ. იოანე დამასკელი და კ. ტიმენდორფი, ამოვწეროთ ზოგიერთი ადგილები ვრცელი ხელნაწერიდანაც: რომაელთა მიმართ ეპისტოლეს მესამე მუხლში—**„უკეთუმცა სოფლისაგანი იყვენთ, სოფელიმცა თვისთა ჰყვარობდა, რამეთუ არა სოფლისაგანი ხართ, არამედ მე გამოგირჩიენ თქვენ...“** (ი. XV, 19); ე) ეფესელთა მიმართ ეპისტოლეს მეორე მუხლში—**„სიტყვა ხორციელ იქმნა“** (ი. 1, 14); ვ) იმავე ეპისტოლეს მეხუთე მუხლში—**„რომელი უჩრ იყოს ძისა, არა იხილოს ცდოვრება, არამედ რისხვა ღვთისა დადგრომილ არს მას ზედა** (ი. III, 36.); ზ) მაგნეზელთა მიმართ ეპისტოლეს მეცხრე მუხლში.—**„უკეთუმცა გრწმენა მოსესი, გრწმენამცა ჩემი, რამეთუ მოსე ჩემთვის დასწერა** (ი. V, 46) ბ) იმავე ეპისტოლეს მეექვსე მუხლში—**„შეიყვარე-უფალი ღმერთი შენი უოველითა გულითა შენითა და მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“**.



კვირიღამ კვირობაგდე.

საიდუმლო გაპარვა გრაფ. ლ. ტოლსტოისა.

მოსკოვი. 30 ოქტომბერს დილის 4 საათზე „Руск. Вѣд.“ ტულიდან შემდგეი დეპეშა მიიღო: ლეონ ტოლსტოიმ 28 ოქტომბერს უბრძანა ეტლი გაემზადებიათ და

ექიმ მოკოვეცკისთან ერთად წავიდა შჩეინოვში და იქიდან რკინის გზით სამხრეთისაკენ გაემგზავრენ. წერილში, რომელიც კოლისთვის დაუტოვებია, გრაფი სწერს, რომ მას მოსვენებას არ აძლევს ცხოვრების მოწყობილება, იგი გრძობს განმარტოების მოთხოვნილებას, სთხოვს ნუ დაიწყებს მისი მონახვის ცდას და ლმობიერად ეთხოვება თავის ოჯახობას. ამბობს, რომ, როგორც ქეშმარიტი ქრისტიანი, მან მყუდროებაში უნდა იცხოვროს და არას შემთხვევაში არ დაბრუნდება. სად არის ტოლსტოი, არავინ იცის.

ტოლსტოი.

როგორც ხმები მოდის, ტოლსტოი კოზელსკის მაზრის მამარდინსკის დედათა მონასტერშია, რომელიც თორმეტი ვერსის მანძილზე ახლავს ოპტინის უდაბნოს.

აქაური ცნობებით ტოლსტოის გადასვლა იასნაი პოლიანიდან არ არის მოულოდნელი ამბავი მასთან დაახლოებულ პირთათვის. კორნეევსა და კოჩეტაში მოგზაურობის დროს, რომელიც ეხლახან მოხდა, ტოლსტოი განმარტოებულად ცხოვრების სურვილს აცხადებდა.

ტულა ლ. ნ. ტოლსტოის ოჯახობა, შეკრებილია. გარდა ლეონ ლეონის-ძისა, რომელიც ამ ეამად საზღვარ გარეთ იმყოფება. ოჯახობის მწუხარება, განსაკუთრებით გრაფინია სოფიო ანდრიას ასულისა, აუწერელია. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გრაფი ოპტინის უდაბნოში წავიდა, კალუგის გუბერნიაში, სადაც ორჯერ იყო. ახლომანლო მცხოვრებ გლეხებს უნახავთ იგი 28 ოქტომბერს მაკოვეცკისთან ერთად, მიმავალი მოსკოვ-კურსკის რკინის გზით მესამე კლასში. **ერთ მიწათმფლობელს ოდოვესკის მაზრისას** უნახავს იგი რიაზანის რკინის გზის მატარებელში გარბაჩევსა და ბულევს შუა, ოპტინის უდაბნოში მიმავალი.

ტოლსტოი ოპტინის უდაბნოში.

კალუგა. ტოლსტოი ღამის მატარებლით

ოპტინის უდაბნოში მოვიდა, თან დოქტორი ახლდა. ღამე მონასტერში გაითია და დილით ეტლით შამორდინის მონასტერში წავიდა დასთან იმ პირობით, რომ ისევ უკან დაბრუნებულიყო. ტოლსტოი შამარდინის მონასტერში მოვიდა, მას ახდენ დოქტორი და თავის ქალი ალექსანდრა ლეონის ასული, შემდეგ კოზელსკში დაბრუნდა. დამატებითი ცნობებით იგი კოზელსკიდგან ბელევეში წავიდა.

ტულა. ტოლსტოი, რომელიც თავის ქალით და ექიმ მაკოვეცკით რიაზან-ურალის რკინის გზით მიდიოდა, გზაში ავად გახდა და სადგურ ოსტაპოვოზე გადმოვიდა. ავთმყოფი სადგურში მოასვენეს. სიცხე 40 გრადუსამდე აქვს.

როცა თურმე ლეონ ტოლსტოი ოპტინის უდაბნოში შევიდა, სასტუმროს ბერს უთხრა:

— მიხეილ, შეიძლება, შენ არ გესიამოვნა ჩემი მოსვლა, მე ხომ ეკლესიისაგან მოკვეთილი ლეონ ტოლსტოი ვარ...

— ჩვენ ყველასთვის მოხარული ვართ; უპასუხა მ. მიხეილმა.

გამოთხოვებისას ტოლსტოიმ მონასტრის წიგნში ჩასწერა: „ლეონ ტოლსტოი მადლობელია მიღებისათვის“.

იასნაი პოლიანიდან წასვლისას ლ. ტოლსტოის მხოლოდ 38 მანეთი ჰქონია ჯიბეში.

მისმა ქალმა ალექსანდრამ 200 მანეთი ჩაუდვა ჯიბეში დოქტორ მაკოვეცკის.

ლეონს არაფრის წაღება არ უნდოდა თან, და დოქტორმა მაკოვეცკიმ ყოველ შემთხვევისთვის რამდენიმე საჭირო წამლები წაიღო.

სხვა და სხვა პირების აზრი გრაფის გაპარვის შესახებ.

ნ. ი. ხომიაკოვი.

საზოგადოთ მე ვერ ვხედავ ვერაფერ საუცხოვოს ან საკვირველს და მით უფრო ტრაგიკულს გრაფის გაპარვაში.

სრულ განმარტოებულ ცხოვრების სურვილი ბუნებითა ლეონ ნიკოლოზის ძის ხეობაში, და არც აგრე იშვიათი შემთხვევაა

მოხუცის განსვლა არა თუ მხოლოდ ოჯახიდან, არამედ მთლად ქვეყნიური ცხოვრებიდან და შესვლა მონასტერში, უდაბნოში და სხ. უმეტესად ეს უნდა ითქვას გრაფზე, რომლის ცხოვრება იასნაია პოლიანაში არ ეთანხმებოდა მის აზრს და მოძღვრებას ცხოვრებაზე. ამიტომ მე სრულებით არ მიკვირს ტოლსტოის წასვლა სახლიდან, ნე უფრო საზოგადოების შეხედულება მაკვირებს ამ საქციელზე.

გრაფს უნდა თავის ცხოვრება სხვანაირად მოაწყოს, ამიტომ ხელის შეშლა და საკუთარი შეხედულების დაძალება მეტი იქნება, ხოლო საქიროა კი საქიროების დროს დახმარება.

ა. მ. ხირიაკოვი.

გრაფის მოულოდნელობა წასვლამ მე უფრო ნაკლებად გამაკვირვა, ვიდრე ფართო საზოგადოების წრეები. გრაფი დიდი ხანია რაც უკანასკნელი დღეების გატარებას მარტოობაში „თავის ღმერთთან ერთად“ ჰფიქრობდა. რუს გლეხობაში ზოგიერთ სექტანტებში და მოხუცებულლებში განმარტოებულ ცხოვრებისადმი მისწრაფება—ხშირად უძლეველია. ასეთსავე უძლეველ მისწრაფებას განიცდიდა გრაფი, რომ მოშორებოდა ცხოვრების სისაძაგლეს. როგორც იდილისტ-ფილოსოფოსი, მოკლებული ყოველგვარ მატერიალისტურ შეხედულებას, იგი დიდი ხანია ივლტოდა იასნაია პოლიანადან, სადაც მას ხშირად უხდებოდა შეჯახება მატერიალისტურ ქვეყნიერებასთან. ესლაკი, თუ ხმები მართალია, ცხადია გრაფმა განახორციელა თავის დიდიხნის სურვილი, რომ განშორებოდა ქვეყნიერობას.

მ. სტახოვიჩი.

სახელმწიფო საბჭოს წევრს, მ. სტახოვიჩს, რომელიც ძლიერ დაახლოვებულია გრაფის ოჯახთან, არ სწამს რომ გრაფმა საბოლოოთ დაანება თავი იასნაია პოლიანას. მ. სტახოვიჩი დარწმუნებულია, რომ დიდებული მწერალი მხოლოდ სტუმრად წავიდა რომელიმე თავის ნაცნობთან, ან თავის ქალიშვილთან.

მიტრაპოლიტ ანტონის დეპეშა ტოლსტოის მიმართ.

„თვით იმ წამიდან, როცა თქვენ კავშირი გასწყვიტეთ ეკლესიასთან, მე დაუცხრომელად ვლოცულობდი და ვლოცულობ, რომ უფალმა ინებოს და შემოგაერთოს ისე ეკლესიას. შეიძლება მან მალე მიგიწოდოს შენ განსჯად. ესლა ავთოპოფს გვედღრები, შეურიგდი ეკლესიას და მართმადიდებელ რუსის ხალხს. გაკურთხოს და გფარვიდეს უფალი.“ (მ. ა.).

7 ნოემბერს ქუთაისში ამბავი მოვიდა გრაფ ტოლსტოის გარდაცვალებისა. განმარტოებულ ცხოვრების მაძიებელმა ნახა საუკუნო განსასვენებელი. ღმერთმა აპატიოს დიდებულ მწერალს ყოველივე შენაცოდები!....

რადგან უკანასკნელ ხანებში მეტათ გამრავლდა ეკლესია-მონასტრების ძარცვა, სინოდის ობერ პროკურორმა შინაგან-საქმეთა მინისტრს მიმართა, მათი დაცვა-შენახვისთვის დარაჯობა გააძლიეროს.

დ. საჩხერის ეკლესიის კურთხევა დანიშნულია 21 ამა ნოემბრისათვის.



მეზრელიის სამღვდლოების საყურადღებოდ.

როგორც ვადმოგვცეს სამეგრელოს სასწავლო ოლქის სამღვდლოების კრება ამ თვეში მოხდება. კრების განსახილველი საგანი სხვათა შორის საქალებო სასწავლებლის დაარსება იქნება, რომელიც პრინციპიალურად უკვე გადაწყვეტილ საქმეთ ითვლება. რამდენათ სასარგებლო იქნება სამეგრელოს სამღვდლოებისა და თელათ სამეგრელოსთვისაც ასეთი სასწავლებლის დაარსება, ამას ყველა მიხედება და ამიტომ ლაპარაკიც მეტია.

რაც რომელიმე მხარეში მეტი განმანათლებელი დაწესებულებაა, მით უფრო უკეთესია, მით უფრო მალე მიახწვეს იგი კულტურულ განვითარებას. მაგრამ როგორც ყოველ ბოროტს კეთილიც თან სდევს, ისე ყოველ კეთილსაც ხშირად ბოროტიც გვერდში უდგია. სწავლა-განათლება კეთილი საქმეა, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს სიკეთე თავის ნახევარ სიმშვენიერეს ჰკარგავს, როცა იგი მხოლოდ ქუჩის განვითარებაზეა მიმართული, მხოლოდ ტერორული მხარეს აქცევს ყურადღებას და სრულებით მხედველობაში არ ღებულობს პრაქტიკულ მხარეს.

უნდა დარწმუნებული ვიყოთ და ერთ წამსაც არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ სწავლა-განათლება საშუალებაა ცხოვრებისა და არა მიზანი ამ ცხოვრებისა. კაცი ცხოვრობს მისთვის კი არა, რომ ისწავლოს არამედ მისთვის სწავლობს, რომ იცხოვროს—იცხოვროს ორივე სოფლისათვის, იცხოვროს ხორციელათ და სულიერათ. დღევანდელი სასწავლებლები სწორეთ იმითაა დასაწყენი, რომ მათ პრაქტიკული მიმართულება აკლია. ისინი აძლევენ ხშირად ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას, მაგრამ არ აძლევენ საშუალებას ეს ცოდნა სასარგებლოდ მოიხმარონ, ცხოვრებაში გამოიყენონ. ამიტომაც რომ დღევანდელი კურს-დამთავრებული ახალგაზდა, თუმცა სწავლით აღტურვილია, მაგრამ ცხოვრებას ვერ ახერხებს, ოჯახობას ვერ ეწყობა. უმეტესი უნდა ითქვას ჩვენ განათლებულ ქალებზე. მათ ყველაფერი იციან, გარდა ოჯახობისა, გარდა მოქმედებისა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ საჭიროა ამ ქვეყნად. დღევანდელმა ჩვენმა წასწავლმა ქალმა კარგად იცის როგორ უნდა ჩაიცივას მოღაზე, მაგრამ ერთ ნემსაც ვერ ამოუტყვამს, რომ თავის ქმარ-შვილს საცვლები შეუყეროს, კარგად იცის რომელი საკმელი უფრო მარგებელია, მაგრამ ერთ მათგანსაც ვერ შეამზადებს, კარგათ ესმის რა სარგებლობა მოაქვს ოჯახში წვრილ ფეხის მოშენებას, ხშირათ, შეიძლება, მისი მოშენებაც იცოდეს, მაგრამ სურვილიც არ აქვს მისი მოშენებისა; რძიანი ჩაი ძალიან მოსწონს ჩვენ ქალებს, მაგრამ ძროხის მოვლა და მოწყველა არ იციან და არც სავალდებულოდ მიიჩნიათ იცოდენ. ერთი სატყუით დღევანდელი სწავლა გემოს გვიხსნის, მადას გვეგრის, სურვილებს გვიძრავს, მაგრამ ლონეს კი არ ვეაძლევს საჭირო საგნების მოპოებისათვის

ასეთ მდგომარეობის შემოქმედია დღეს ყველა სასწავლებელი და იმ ჯურის სასწავლებელიც, რომლის გახსნას ლამობს სამეგრელოს სამღვდლოება. ჩვენ, იმერეთის სამღვდლოება, საქმით დავრწმუნდით, რომ ჩვენ მომავალ დედაებს ცხოვრების უკმაყოფილო შეილება ვზრდით. კარგი იქნება სამეგრელოს სამღვდლოება თავიდანვე მიიღებდეს მხედველობაში ჩვენი სასწავლებლების ამ ყალბ მხარეს და ახლად დაარსებულ ქალთა სასწავლებელს მეტ პრაქტიკულ—ოჯახურ მიმართულებას მისცემდეს.

ამ მხრით საუნჯობესო არ იქნება განძრახული სასწავლებელი თეკლათის დედათა მონასტერში დაარსდეს?.....

კეთლის მსურველი.

წერილი ხოპიდამ.



ორშაბათს (25 ოქტომბერს,) ხოპის მონასტერს ესტუმრა ყ-დ სამღვდლო ლეონიდი. მიზეზს მათის მობრძანებისა შეადგენდა ამ მონასტერში ნამუშევარის დათვალიერება. ამ წლის აგვისტოს 15, როცა მისი მეუფება მობრძანდა საწირავად, დაათვალიერა მონასტერი და განსაკუთრებით ყურადღება მიექცია ტაძარს; ტაძარი კრამიტით იყო დახურული, მაგრამ უვარგისობისა გამო წვეთი ჩადიოდა შიგ და თუ დროზე არ შევლენბოდა, როგორც მარტივლს, იგი სულ მოკლე ხანში აღიგვებოდა დედამიწის პირიდან ისე, როგორც დანარჩენი სხვა ციხე-ტაძრები ისპოზიან ჩვენში უპატრონობით.

ხოპის მონასტერის ტაძარი ერთი შესანიშნავი ტაძართაგანია, როგორც ხუროთმოძღვრებით ისე სიწმიდით. ამ ტაძარში ასვენია კვართი*) ყ-დ წმიდა ღვთისმშობლისა და მრავალი ნაწილები. გარდა ამ სიწმიდისა აქვე ასვენია რამდენიმე ძვირფასი ხატი და ჯვარი და მათ შორის შესანიშნავი ჯვარი საქართველოს მნათობთა მეფეთა—თამარისა და დავით აღმაშენებელისა.

დიახ, ეს ტაძარი, როგორც სამლოცველოა ისე საცავია ჩვენთა სახელგანთა დიდებულთა

1) კვართი პერანგი.

წინაპართა და ვისაც კი უღვივის ქართველობა გულში, იგი უნდა შეტრფოდეს შეხაროდეს და თაყვანსა სცემდეს თავის სახელოვან წინაპართ ნაშთებსა და ცდილობდეს მათ გა შევინებასა.

ღიახ, ყ-დ სამღვდლომ, როგორც მოტრფილემ საქართველოს დიდებისამ, ეს ორი ტაძარი (მარტვილი და ხოპი) აცდინა განადგურებას, როგორც მისმა ბიძამ აწ განსვენებულმა ებ. ალექსანდრემ, ქართლში შიო-მღვიმელის და სხვა მრავალი ტაძრები. მაგრამ არ შემოძლიან არ აღვნიშნო დიდებული მამლიშვილის ღვაწლი: არც ხოპს და არც მარტვილს გროში არ მოეპოვებოდათ, თუ მადლიანი ყ-დ სამღვდლომ ალექსანდრეს მარჯვენით შეწირული ფული არ შესწრებოდათ (თითოს ათას, ათასი მანათი).

რასაკვირველია ეს ფული ამ ეკლესიების შესაკეთებლათ საკმაო არ არის, მაგრამ მაინც დიდია განსვენებულის დანატოვარი წვლილი. ესლა ხოპის ტაძარი საუკეთესო ხარისხის ეესტით არის გადაქედელი და ერთ ნახევარ საუკუნეს მაინც უზრუნველ-ყოფილია, თუ ადგილობრივმა წინამძღვრებმა შეუწყეს ხელი.

დღეს ხოპის მონასტერს არა ჰყავს წინამძღვარი. ყოფილი წინამძღვარი მამა ნიკოლოზ არქიმანდრიტი ამ ერთი თვის წინათ გარდაიცვალა. იმედია მისი მეთუფება ცოტათ მაინც თავიან კაცს იშოვის, რომ ამ მონასტერს რიგიანად წარუძღვეს. ხმა დიდის ვითომ ყველასაგან ცნობილი ბენედიქტე ბერი (ბარკალაია) თხოველობდეს აქ წინამძღვრობას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მისი მეთუფება გაახსენებს სინოდალურ კანტორას თუ ვინ არის ბენედიქტე ბერი და არას გზით მას არ შემოუშვებს ამ დიდებულ მონასტერში.

დამსწრე



რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეუვაა.

განცხადებანი

„შინ. საქმეების“

რელაქციაში იყიდება:

კლიროვის უწყებები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (вѣдомости) წლიური საბლალოჩინო ანგარიშისათვის. ბლანკები ძმობის გამოცემა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა რწყვილი 5 კ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს — წყილი 4 კ. ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Кутаисъ Правленіе религіозно-просвѣ-
тительнаго братства.

Ольденбургская д. № 5

ვამცხადებ

სამღვდელო და საღიაკვნო

საგნუში,

აგრეთვე

სამასწავ-
ლებლო

ეგზამენის ასაღებად.

ადრესი: ქუთაისი, ვაზაკოვის ქუჩა, № 17.



შინაური საქმეების რედაქციაში იყიდება
შემდეგი

წიგნაკრები

1. ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორ. 10 კ.

2, ქრისტე ღმერთია? 10 კ.
3, სიკვდილი მართლისა 5 კ.
4, წყარო ურწმუნოებისა 2 კ.
5, პატარა ქრისტიანი 2 კ.
6, ათეიზმი და მისი გავლენა ცხოვრებასა
და შეცნობებებზე 10 კ.

Открыта подписка на 1911 годъ

(4-й годъ изданія)

на иллюстрированный научно-популярный журналъ

„Астрономическое Обозрѣніе“.

Рекомендованъ, признанъ заслуживающимъ вниманія и допущенъ въ библиотеки среднихъ учебныхъ заведеній министерствъ: Военнаго, Морскаго, Народнаго Просвѣщенія, Торговли и Промышленности и Главн. Управл. Землеустр. и Землед. (для низшихъ).

Въ журналѣ помѣщаются статьи по всѣмъ отдѣламъ астрономіи, написанныя вполне доступно. Особенное вниманіе удѣляется новинкамъ, какъ астрономіи, такъ и связанныхъ съ нею наукъ: физики, химіи, метеорологіи и физики земнаго шара. Предназначенный для широкаго круга лицъ, онъ будетъ заключать все, что можетъ быть полезно и интересно для всякаго, а въ особенности **любителямъ астрономіи.**

Къ напечатанію приготовленъ рядъ статей: 1) Комета Галлея (ея прошлое, настоящее и будущее), 2) Телескопъ любителя астрономіи, 3) Разстоянія звѣздъ, 4) Новый способъ наблюденія солнечныхъ пятенъ, 5) Горныя обсерваторіи, 6) Значеніе астрономіи для человѣчества, 7) Роль **Любителей астрономіи** въ наукѣ, 8) Какъ самому устроить обсерваторію, 9) Какъ самому сдѣлать солнечныя часы, 10) Астрономія въ древнемъ Китаѣ, и пр. Въ каждомъ номерѣ приводятся отчеты о трудахъ любителей астрономіи и указываются планы работъ для нихъ. Кроме того сообщаются на три мѣсяца впередъ свѣдѣнія о предстоящихъ небесныхъ явленіяхъ. Журналъ выходитъ 6 разъ въ годъ номерами въ 2 печатныхъ листа каждый, съ рисунками и чертежами.

Цѣна съ пересылкой и доставкой **3 рубля** въ годъ; допускается разсрочка по 1 рублю. Оставшіеся экземпляры журнала за 1909 г. высылаются по цѣнѣ три рубля каждый.

Плату слѣдуетъ высылать по адресу редакціи:

гор. Измаиль (Бессар. губ.), Красивая улица д. № 11/2

(3—2)

редакторъ издатель **Н. Пелипенко.**

Электротпечатная Типографія. Иванъ Давидовичъ Киладзе въ Кутаисѣ.